<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2017 წელი

ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, სადგურის მოედანთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქირურგი თამაზ თოხაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) დიდუბის რაიონში, სადგურის მოედანთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ქირურგი თამაზ თოხაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X- 482,838.346
Y-4,619,463.236
X- 482,910.445
Y-4,619,326.446
X- 482,923.013
Y-4,619,319.831
X- 482,992.585
Y-4,619,195.156
X- 482,987.029
Y-4,619,185.896
X- 483,031.161
Y-4,619,114.775
X-483,058.572
Y-4,619,060.060
X- 483,093.074
Y-4,619,006.190

02/862

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ქ-ნ. ლია ჯახველაძეს

შესაბამისი რეაგირებისთვის.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ტყემალაძე

#07/19941

08.12.2016

ამხანაგობა *მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი*

30.11.2016

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

მოგმართავთ ამხანაგობა „მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის“ სახელით და შესაბამისად გთხოვთ თანადგომას. ამხანაგობის წევრები არიან:

1. ფრიდონ თოდუას კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტი.
2. რომან შაქარიშვილის ნეერლოგიის ინსტიტუტი
3. ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი ჯაფარიძე-ქეანიშვილის კლინიკა
4. ქართულ-ებრაული კარდიოლოგიური ცენტრი ჰელსიკორი
5. აბსიანიძის სახელობის ანგიოქირურგიის კლინიკა
6. აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი
7. არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი
8. კლინიკა წოპე

ჩვენი ცენტრი ქალაქის ტრანსპორტით უაღრესად გადატვირთულ რაიონში მდებარეობს. ტრანსპორტის მოძრაობის მოუწესრიგებლობის გამო, გაუსაძლისი მდგომარეობა შეიქმნა. საფრთხე ექმნება პაციენტთა ჯანმრთელობას, ვინაიდან შენობისკენ მომავალ გზებზე არასწორი პარკირებისა და დამრღვევი მძღოლების არასწორი მოძრაობის გამო სასწრაფო დახმარების მანქანები შენობასთან მოსავლას ვერ ახერხებენ. ხშირ შემთხვევაში ყოველ წუთს აქვს მნიშვნელობა პაციენტთა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენი შენობის ეზოდან სადგურის მიმართულებით გამავალ ქუჩას არ აქვს მინიჭებული სახელი. ეს კი ქმნის პრობლემას საპატრულო პოლიციისათვის და CT-Park-ისთვის, რათა განახორციელონ დამრღვევი მძღოლების დაჯარიმება ვინაიდან ვერ უთითებენ დაღვევის მისამართს.

შესაბამისად გთხოვთ, ჩვენი შენობიდან სადგურისკენ მიმავალ ქუჩას დაერქვას სახელი. ჩვენი წინადადება იქნება ქუჩას დაერქვას პროფესორ თამაზ თოხაძის სახელი, რომელიც იყო შესანიშნავი ექიმი და 1972-1993 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის გამგე.

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
№ 07/19941
"07" დეკემბერი 2016
ფურცლის რაოდენობა 2 ფურცელი
0105, თაოსუფლების მოედანი №2

პატივისცემით,

იუანე ქეანიშვილის
გამგეობის თავმჯდომარე

თევდორე მღვდლის 13 ტელ: 2345900

თამაზ თოხაძე დაიბადა 1928 წლის 16 ნოემბერს ქალაქ ოზურგეთში. 1945 წელს საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1952-1955 წლებში მუშაობდა უკრაინის ქალაქ ლუგანსკში ზოგად ქირურგად. 1956 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურაში ოტორინოლარინგოლოგის სპეციალობით. 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა გააგრძელა ამავე ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრაზე- ასისტენტის თანამდებობაზე. 1968 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ იყო კათედრის პროფესორი, ხოლო 1972-1993 წლებში (გარდაცვალებამდე) ხელმძღვანელობდა ამავე კათედრას.

თამაზ თოხაძე

(1928 -1993)

პროფესორი, ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ოტორინოლარინგოლოგიის განვითარებაში.

დაიბადა 1928 წლის 16 ნოემბერს ქ. ოზურგეთში .1945 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე.1952-1955 წლებში მუშაობდა უკრაინის ქალაქ ლუგანსკში ზოგად ქირურგად. 1956 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტიურაში ოტორინოლარინგოლოგიის სპეციალობით. 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა გააგრძელა ამავე ინტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრაზე -ასისტენტის თნამდებობაზე . 1968 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ იყო კათედრის პროფესორი, ხოლო 1972-1993 წლებში (გარდაცვალებამდე) კათედრას ხელმძღვანელობდა. აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და დახვეწილი ქართულით შესრულებული ოტოლარინგოლოგიის სახელმძღვანელო. განსაკუთრებით ა ქტიურად მუშაობდა ხორხის ავთვისებიანი სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდების საძიებლად, ერთ-ერთმა პირველმა ჩაატარა საქართველოში ლარინგექტომია – ხორხის ამოკვეთა ავთვისებიანი სიმსივნის გამო. არის ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. მის სახელმძღვანელოზე ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტთა არაერთი თაობა აღიზარდა და დღესაც იზრდება.